# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 380

„25" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. №№9-11,11ა-ში, კოსმონავტების სანაპირო №91-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 29 სექტემბრის №49 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 17 ნოემბრის №04/19155 წერილის (AR1416021) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. №№9-11,11ა-ში, კოსმონავტების სანაპირო №91-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1416021 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2 .აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

# ქ. თბილისი, ამირცხულავას ქ. №9-11 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.017.100 01.13.04.017.101 01.13.04.017.085 01.13.04.017.096)

## განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება







სიმაღლის განსაზღვრის სქემა მირცხულავას ქუჩის მხრიდან ბლოკები 3-4, 1-2, 17-18

საცხოვრებელი უბნის განაშენიანების კოეფიციენტი (საერთო მაჩვენებელი) 15 236/31 900=0.5

საცხოვრებელი უბნის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (საერთო მაჩვენებელი) 125 326/31 900=3.9

საცხოვრებელი უბნის განაშენიანების გამწვანების კოეფიციენტი (საერთო მაჩვენებელი) 2 930/31 900=0.1

ტერიტორიის განვითარების ქალაქმშენებლობითი კონცეფცია - განაშენიანების გენ. გეგმა მ. 1:1500

ტერიტორიაზე განთავსდება საცხოვრებელი კორპუსები, ოფისი/უნივერსალური მაღაზია, საბავშვო ბაღი, ობოლ ბავშვთა თავშესაფარი, ქუჩები და სტადიონი

საპროექტო ტერიტორიის უფლებრივი ზონირების რუკა

იხ. დეტალური რუკა გვ. 28

შ.პ.ს. არქ არეა
www.archarea.ge

Arch Area

| | | |
|---|---|---|
| ფორმატი A3 | თარიღი 25.03.2016 | მასშტაბი 1:1500 |
| ფურცელი 17 | | |